კვირა, 5 თებერვალი 1917 წ.

რედაქციის ადრესი:
თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშმაკის მათრახი

№ 6

1917

შინაარსი: წერილი მეგობართან — ბეკო მაშრიყ-მაღრიბელი. მიმოხილვა — ეშმაკი. ნარკვევი — შალი. კანტოური იგავი — ირ. ტოფაძე. გორიდან — შვილდ-ისარი ჩემა ვასკას — გოლგოთელი. ბაში — ტარ-ბანი. ხონის ამბები — ზუძა. პორფირი ასკუკაძე — პოდბიპენტა. ფოსტა.
კარიკატურები: თავრიდის ქუჩა. ნიკო გოცირიძე. საქართველო და სახალხო.

თადარიგი

ვინაიდან დეპუტატთა და სხვა გარეშე მსურველთათვის ერთობ ძნელი მისაგნები გახდა სახ. დუმა, ადმინისტრაციამ მას შესფერი ნომერი დაასვა.

წერილი მეგობრისადმი

თუ არ გინდა დრამაო
კარგათ ბოჭე დრამაო.
„ეშმაკის მათრახიდან“.

ძვირფასათ მოსაგონარო. და საიმედოთ საგულებულო, ძმაო ქაქაჩ! უპირველესათ ყოვლისა მოგილოცავ წარსულ ქრისტეშობას და მდგომარე ახალ წელს და ვსთხოვ მამაზეციერს მრავალ კაი დდეს და ახალ წელს დასწრებოდე შენი კაი და ლამაზი ცოლშვილით და ყოველი შენი მოყვრით და მოკეთით. სხვა ძმაო, ვიცი ჩემს ამბავს იკითხავ და ვარ ჯერ-ჯერობით ცოცხალი ღვთის წყალობით და შენი იმედით და მიდგია გაჯახირებული სული. და მართლაც რა არის დღევანდელი ჩვენი სიცოცხლე და ცხოვრება თუ არა ჯახირი და ვაივაგლახი, ნამეტურ ისეთ დრომოჭმულებისთვის, როგორც მე და შენ. არ გეწყინოს, ჩემო ქაქაჩ, ასეთი თქმულება და ვიცი არც გეწყინება, რადგან ტყუილად კი არ იტყვის ბრძენი სოლომონ ხურგიელიძე: „ზოგჯერ თქმა ჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“*)

ჩვენ ერთ დროს, ქაქაჩ და ძლიერ გაჯავრებული ვიყავით, რომ ასეთი საქმე მოგვივიდა და ასეთ მდგომარეობაში ჩაგვაყენეს. დიახ მაშინ გვეგონა, რომ დაგვაქციეს, პატივი აგვხადეს, ჩვენი თავმოყვარეობა შელახეს, ჩვენი მოქალაქობრიობა ფეხით გათელეს, ჩვენი წარსული გადალახეს. ამიტომაც იყო, რომ „რანცი“ სათაკილო რამეთ მიგვაჩნდა, „ნოვობრანცი„ არა სასურველათ. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი ცხოვრების სარბიელზე თარეშობდენ ეგრეთწოდებულნი ინტერნაციონალისტები, ანტიმილიტარისტები, სხვა და სხვა გვარი პაციფისტები, ეს იყო იმ დროს, როცა პატრიოტობა მამულის შვილობა, რაინდობა, გმირობა, ვაჟკაცობა, „აფრა აკეცა ქუდისა“, „გადაკიდება ჩხუბისა“, თოფის გრიალი, ლეკურის ტრიალი და სხვა ასეთები და ამ გვარი რამეები სამარცხვინო საქმეთ ითვლებოდა. რატომ? იმიტომ რომ ამ სწორუპოვართ თავი მესიათ მოჰქონდათ: მათ ვითომ და ხელში ქონდათ ქვეყნის ტრიალის საიდუმლოების კლიტე—ერთის მხრით კლასთა ბრძოლა და მეორე მხრით საყოველთაო ძმობა და სათნოება! და აი ამ ჯადოს საშუალებით უნდა აეშენებიათ ქვეყანა, გაებედნიერებიათ კაცობრიობა, გაეხორციელებიათ ოცნება, და სხვა ასეთები, მაგრამ აჰა დადგა ჟამი, როცა ყოველივე ესეები და სხვა ესეთები გაქრა ვითარცა სიზმარი ღამისა, ვინაიდან ესევე ყოველი განქარდა რამეთუ გამწარდა და მაგივრათ რამე-რუმეებისა და ლათაიებისა გაისმა მედგარი გამოძახილი: „ბრძოლა, ძმანო, ბრძოლა მამა-პაპური, თორემ მტრისგან იღუპება მამული“. ხო და მოიგონე, ქაქაჩ, ეს დიდებული მომენტი, ამ მოგონებას თან მიაყოლე ისიც, თუ რა ერთობა, რა ძმობა, რა ფიცი, რა მტკიცი, რა ურა და ორაველა, რა გატაცება, რა გულწრფელობა, რა თავდავიწყება, რა უანგარობა, რა გმირობა და ქველობა და სხვა მრავალი სიკეთეები მოჰყვა ამ გამოძახილს! მოიგონე როგორი მტრები გადაეხვივნენ მაშინ მეგობრულათ ერთმანეთს, რა მოსისხლეები დამოყვრდენ და რა ერთგულებით და ერთხმად შესძახეს: ყველაფერი: ცოლი, შვილი, სიცოცხლე, ქონება ყველაფერი გამარჯვებისათვის! დიახ, დიდი მომენტი იყო ეს ჩვენი ცხოვრებისა.

და ახლა კი მიაპყარ შენ შენი ლამაზი თვალი იმ წუთს, ანუ იმ მომენტს, რომელსაც განვიცდით დღესა და, გითხრა მართალი, შორს არ წავალ, რათა განგიმარტო და გაგითვალისწინო ის, რის თქმაც მინდა. მე აქ დავკმაყოფილდები შენი ღია წერილით და მიგითითებ ამ ისტორიული წერილის იმ ადგილზე, სადაც შენ დიდის დრტვინვით და აღშფოთებით მაუწყებ: ვიღუპები, ჩემ ჰაკცხენს მობილიზაცია უყვესო! არ ვიცი, ქაქაჩ, შენ რას იტყვი, ხოლო რაც შემეხება მე, თამამად გეტყვი რომ ამიერიდგან შენი ჰაკი ცხენი ისტორიას ეკუთვნის და მართლაც შენ თითონ იფიქრე: ჯერ კიდევ გუშინ შენი დევიზი იყო: ჯერ გამარჯვება და შემდეგ ოჯახური საქმეები და პირადი ბედნიე-

*) წინეთ ამ თქმულებას შოთას აწერდენ ბ. გვახავას უკანასკნელ გამოკვლევის შემდეგ ეს თქმულება უნდა მივაწეროთ, ჩემის აზრით, სოლომონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება!

რის გულისათვის გასტეხე ფიცი; ჭაკი ცხენისთვის? მაგრამ კმარა, მე ამაზე აღარ ძალმიძს ლაპარაკი, დაუტოვოთ შენი ჭაკი ცხენი და გადავიდეთ ბლოკზე! როგორ ბლოკზეო? მკითხავ შენ. როგორ და ისე, რომ ბლოკიც სწორეთ შენ ყოფას განიცდის თავიდან ბოლომდე, მხოლოთ განსხვავება ის არი, რომ როგორც შენ შენ ჭაკ ცხენს მიბჯენიხარ, სწორეთ ისე მიბჯენია ბლოკიც „რეჟიმს“, შენთვის გამარჯვების საკითხი ჯაკი ცხენის საკითხათ გადაიქცა, ბლოკისათვის „რეჟიმის“ შეცვლის საკითხათ. შანკირებისა, ფინანსტებისა და მრეწველებისათვის მოგებისა და დივიდენდის საკითხათ; ობივატელი დღეს იძიებს: კვერცხს, პურს, ხორცს, კოჭა ლარს, ბაწარს, გუნდა ლახოსტაკს და ყვითელ კოჭს. ქვეყნის გამგეებს გარეგანი თითქმის დაავიწყდა და შინაგანზე მოაქვს იერიშები. ინტელიგენცია თფილ-თფილ ადგილებს შეფარებია და სწორეთ ამავ დროს ჩვენ ძველ ნაცნობებს ინტერნაციონალისტებს აქა-იქ ისევ თავი ამოუყვიათ და ძველებურ კუკუ-ს იძახიან!..

და ყოველივე ამის შემდეგ მე შენ გეკითხები, ქაქჩ, ვინ უფრო ახლოა ჭკუაზე: შენ და შენი ჭაკი ცხენი, ბლოკი მილიუკოვი და შულგინითურთ, ბანკის-აფერისტები, „ობივატლები, ქვეყნის გამგეები, ინტელიგენტები, თუ ჩვენი ძველი ნაცნობები, რომლებიც ერთ დროს ქვეყანას პროლეტარიატის საშვალებით უპირებდენ აშენებას?

მომიკითხე ჩემი რძალი—პირმთვარისა.

შენი ძმა და მეგობარი აზნაური
ბეკო მაშრიშ—ბალრიბელი.



„ნარკვევი*)“

ახალი სიტყვა უთუოდ ქუთაისმა უნდა სთქვას! „პირველთქმაში“ მას ვერავინ შეედრება—ამის თავდები პაოლოცაა; ესეც რომ არ იყოს აი კიდევ „პირველთქმა“:

„ქუთაისის კომერციული სკოლის სახელით ბ ნმა რაჟდენ ყარამანისძე დათეშიძემ განსვენებული ანანოვის კუბოს **ათი** გვირგვინი **დაადვა.** როგორც გავიგეთ, განსვენებულ ანანოვს ამ სკოლისათვის უანდერძებია 2000 მანათი, მასვე დაუტოვებია „სინათლის“ საზოგადოებისათვის 1000 მან; საქველმოქმედო საზოგადოების სკოლისათვის 250 მანეთი“ („მეგობარი“ № 275.)

„სინათლის“ საზოგადოებამ, ან და საქველმოქმედო საზოგადოებამ რამდენი გვირგვინი **დაადვა,** ამაზე გაზეთი არას ამბობს, თუმცა არც ისე ძნელია ამის გამოკვლევა: თუ 2000 მანეთის ასანაზღაურებლად **ათი** გვირგვინი დაადვეს, 1000 მანეთისთვის ხუთი უნდა ვივარაუდოთ, ხოლო 250 მანეთისთვის—$1^1/_4$ გვირგვინი.

იმავე „პირველთქმის“ „აქვსონის“**) და ყანწელთა ძმების გავლენით უნდა ავხსნათ შემდეგი „პირველთქმაც:“ 18, 19, 20 და 21 იანვარს, ბაბალახვანის ქუჩაზე **ქალქის** მოედანთან, ბეოლის სანერგე ბაღში ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოგბის მიერ ახლათ მოწვეული დაფნის და მანდარინების მოშენების მცოდნე სპეციალისტი გააცნოს **ხალხს** თუ როგორ უნდა **ამ უკანასკნელთ** მოშენება“...

აკი სთქვა პაოლომ—გიყვარდეთ უსაზვროთ და ამრავლეთ ხალხიო! ამ „პირველთქმას“ ჯეროვანი გავლენა მოუხდენია ქუთათურებზე და, როგორც ზევით მოხსენებულ ამონაწერიდან სჩანს—ხალხის მოშენებაზე მთელ ოთხ დღეს უსაუბრია მანდარინის და დაფნის მცოდნეს.

ზალი.

---

*) ამ სათაურით კიდევ „სახალხო“ გაზეთი სწერს ხოლმე.

**) გერასიმე იმნაიშვილი „ავტორის“ მაგიერ ხმარობს-მიბაძვით.

მიმოხილვა

რაც დრო მოდის, ომის ძაფი სულ თანდათან იხლართება!
დიპლომატთა სათამაშო „კუკუ მალი“ იმართება,
რაც დღე მიდის, რაც დღე მოდის ზავიც უფრო ახლოვდება!
ნეტავი მას, ვინც მანამდე საფლავში არ ჩახვავდება!

ფრანგების ჯარს, სახელოვანს, მოუწია დიდი შრომა:
აქ ვერდენი, იქ იზერი, აქეთ მარნა, იქით სომა.
გენერალი ჟოფრი გახდა საფრანგეთის მარშალია.
(ჯილდო კიდეც ეკუთვნოდა, თუ სადმე სამართალია!)

როგორაც სჩანს, სიკვდილამდე დაწყნარდება თურმე როდი
სახელოვან ბელგიელთა მეფე იგი ლეოპოლდი.
თვით პატარა სემეფოდან შერჩა თუმცა მას პოპოკი,
მაგრამ მისთვის მას ამჟამად არრა უჩანს დასაზოგი.

ინგლისელთა ვინ არ იცის სანავარდო ზღვათა მადა?!
საამისოთ კიდევაც ჰყავთ შესაფერი მათ არმადა.
(ცნობილია ადმირალთა ადმირალი იქ ჟელიკო.
სკაგერაკთან ბძოლა ნეტავ როგორ მოხდა, როგორ იყო?)

იტალიის ერთობ მომწონს გაბედული მოქმედება:
კლდესა და ღრეს ტრენტინოში ბურუსივით რო ედება.
„ორი წინ და ერთი უკან“, ერთი მაინც ხომ წინ მიდის...
(მოლოდინი კი აფიქრებს ხელჩართული ომის დიდის.)

მიკვირს სწორეთ, ეგ ავსტრია ჯერაც რომ არ დაიშალა?
ცოცხლად გაჰქრა ტყვეობაში ნახევარი მისი ძალა...
კარპატებში მოუჭირეს, თოვლიანს და ტყიანებში,
ისიც ვითომ „ნიხირ-ნახირ“ უფროს თავისიანებში.

შარშანს აქეთ ხსენებიდან გაჰქრა მინდვრის კვამლივითა,
გმირთა ბუდე, პაწაწინა და მრისხანე ის „შავი მთა“
აღარა ჰქუხს შავმთიელთა ხმა ორწოხში დანაყვირი...
(თუმცაღა ამ წუთისოფლად სხვა რა არის გასაკვირი?)

სადღაც გაჰქრა სერბიელთა მამაცი და გმირი ერი,
კორფუს ჰპოვა, კუნძულზედა, შესაფარი თავთა ჭერი.
მის მიწა-წყალს წანალეკავს სჩვა ჰპატრონობს სხვა განაგებს,
არვინ იცის ბედი მათთვის სახვალიოდ რას ანაგებს.

პაწაწინა საბერძნეთის ცნობილია პოლიტიკა..
საკვირველი ამბავია ომში თავი რომ არ სტიკა...
(მაგრამ ახლა სხვა დრო დადგა, „Времена, братъ уже не тѣ!
Не Константинъ მეფობს იქა, არამედ თვით მეფე Коте*!)

რუმინიას მოლოდინმა ძარღვები მძაფრ დაუქიმა.
ჩაერია, მაგრამ ბედმა ვერაგულათ გაუღიმა.
დაუტოვა მან გერმანეთს მამულისა არე ვრცელი,
ბუქურეშტი და დუნაის მობიბინე სარეცელი.

ბულგარია, ჯერ-ჯერობით, შესტრფიალებს რადოსლავოვს,
მას უზომო მადა მოსდის, დობრუჯაში ერთობ სვავობს.
თუ კვლავ ბედმა ძველებურათ მფარველობა არ უსურვა,
მას მოელის უდიდესი განსაცდელი, ტანჯვა—ურვა.

მოგხსენდებათ, იმის შემდეგ წელიწადი გადის წყვილი,
სალონიკში რა ჩამოჯდა გენერალი სარაილი.
შეუტია და აიღო მან სიმაგრე მონასტირი,
მაგრამ უფრო ჩრდილოეთით არ უქნია ჯერაც პირი.

გერმანია, ჯერაც კიდევ სდგას ძველებურ ანამრეზი,
დახლართა და დაახვია ყოველი მხრივ ომის გეზი.
ხმელეთსა და ცაზე ომით როცა კარგათ დაიგეშა,
უსაშველოთ იბრძვის იგი მიწაში და წყალთა ქვეშა.

იქ, ზღვის პირათ, გატრუნული ზის პატარა ჰოლანდია,
ზღვით ინგლისი ელანდება, აქ ნემეცთა ფოლადია.
ზის და ვაჭრობს ათასგვარი სავაჭრო და სადახლეთი
(იქვე უდგას მას ჰაეგა სამშვიდობო სასახლეთი.)

ორ ცეცხლ შვაა მომწყვდეული სახელმწიფო დანიელთა,
თუმცა სრუტე სკაგერაკის მას უპყრია თითქო ხელთა.
და თუმცალა ომის ღმერთი კოპენგაგენს არ სწვევია,
მაგრამ გულის დამშვიდება ჯერ ამ მხარეს არ სჩვევია.

ნორვეგია შეჭრილია ატლანტიდის ზღვათა პირში.
ვინ უშველის, იმ საბრალოს, თუ ჩავარდეს გასაჭირში?
აქეთ გერმანია ებრძვის და ინგლისი იქით მხარეს,
(წყალქვეშებმა იმათ გემებს ხომ სიცოცხლე გაუმწარეს.)

ნეიტრალურ ქურქში არის გახვეული ჯერაც შვედი,
მაგრამ ვინ სცნას სახვალიოთ რას უმზადებს იმას ბედი?
პაციფისტმა თუ აჯობა იქ პატრიას აქტივისტურს,
უკეთესი მოსავალი მამულიშვილს შვედელს ნუ სურს.

*) Коте Бальмонтъ

გაზეთებში იყო ცნობა: ამხედრდაო პორტუგალი,
მაგრამ ჯერაც არვინ იცის რას მოქმედობს ეგ
დეპეშებში არსად ისმის ჯერ იმათი ლისაბონი
და გერმანელ ჯართან შეხლას არც აპირობს ისა მგონი.

ესპანიელთ სახელმწიფო ენდა იყოს ზრდილი დიდი,
ყოველის მხრივ თავაზობით რომ იწონებს თავს მადრიდი.
და როცა, ამ ბოლო ხანში, მიაკერეს ზურგს ბლოკადა,
მცირეოდენ აეშალა მას ნემეცთან ბრძოლის მადა.

ოტომანთა სამფლობელო, ამას წინად მკვდრათ ცნობილი,
გერმანიის რაკი გახდა მეგობარი და ძმობილი,
უკან-უკან მიდის ჩოჩვით თითქმის ყველგან აზიაში...
ჯარს კი გზავნის საბრძოლველათ დობრუჯსა და ფრაკიაში.

სპარსეთშიაც კი იბრძვიან... მაგრამ მხოლოდ მარტო სჩვები.
შორე მხრიდან აქ საომრად დარაზმულად განაშვები.
სპარსეთი კი ძველებურათ დინჯია და ნეიტრალი.
(მუთაქაზე მიწოლილი და ხაშიშით დანამთვრალი.)

ახმაურდა რაკი მასაც დრო დაუდგა და ჟამია,
ეფრატის პირ გაჭიმული ძველი მესოპოტამია,
და მოჩოჩავს ბაღდადისკენ ნელის ბიჯით ინგლისელი...
(თუ მას კუტ-ელ ამარასთან გზა არ დახვდა ძველებრ ძნელი.)

ეგვიპტეში სიწყნარეა ალარ ისმის ფაჩი-ფუჩი...
ეშკარაა დამორჩილდა მუსულმანი მტერსა ურჩი.
და ძველ ფარაონთა ქვეყნის ბატონობა ინგლისელთა
ნილოსის წყლის შესართავთან უცილობლათ იგდეს ხელთა.

„ამომავალ მზისა“ მხარეს ომის ღმერთმა გაუღიმა.
მანჯურიის არე ვრცელი სათარეშოდ გაუჭიმა.
და მდიდრდება, ვაჟკაცდება ეგ ინგლისი ალმოსავლის...
ანგარიშის რაინდია, მოტრფიალე შემოსავლის.

„ცას ქვეშეთის“ რესპუბლიკა, (იმპერია ხატაველთა)
(ოსმალეთის უფროსი ძმა) გარეშე სდგას ბრძოლის ველთა.
ჯერ ანგარიშს არვინ უწევს სიტყვასა და სურვილს მისას.
(თუმცა სჭვრეტენ ევროპაში „საფრთხეს ყვითელ ჩინეთისას“.)

ატლანტიდის ოკეანეს გაღმა მხარეც ბობოქარობს
გერმანიის ბლოკადაზე ამერიკა ერთობ ჯავრობს.
დიპლომატურ ჯაჭვსა სწყვეტავს პრეზიდენტი უილსონი,
ზღვა დიდია, და ვინა სცნას ვის დაახრჩობს მისი ფონი.

განა მარტო ამერიკა? არ ხუმრობს არც ბრაზილია.
წყალქვეშათა თარეშისგან თურმე ისიც დასჯილია.
ჯავრობს პერუ, ჯავრობს ჩილი, ურაგვაი, გვატამალი
ალარსად სჩანს ქვეყანაზე მადლიერთა ნატამალი.

აქ დრო არის აჭარისაც მოვიხსენოთ ბრძოლის ველი,
სად ებრძვიან ერთმანეთსა თურქთა სპა და მხნე ქართველი.
გაზეთები გააჭრელეს ტრაბახით და მქუხარ სიტყვით...
ესეც კმარა საგულისხმოდ. ჯერ ამის მეტს ნურას ვიტყვით.

ეშმაკი.

იგავი

(ხალხური)

ერთსა მღვდლის მეუღლეს,
ჰყავდა სატრფო ვაჟი,
და ოდეს მის ახლო
იწოდა გიჟმაჟი,
წამოესწრო თურმე
მას იმა დროს მღვდელი.
რა შეხედა, ელდა
მოხვდა გულში მწველი!
კეტს ხელი დასტაცა,
ცეცხლი მოემატა;
ვაჟი კი ფანჯრიდან
გახტა როგორც კატა...
დაედევნა უკან,
და ყვირის:—დაჰკარით
ქურდი არის, ქურდი,
მარჯვეთ, შეიპყარით!
(მოხერხებით, ვაჟსა
ბალში ერთი ჯიბა,
გაქცევის დროს, მწვანე
ცერცვი დაეკრიფა).
ხალხი დაედევნა.
დაიჭირეს ,,ქურდი‘‘.
უთხრეს:—ველარ წახვალ
ტყვილათ აფხაკურდი.
მან ცერცვი უჩვენა,
სთქვა:—ეს მომიკრეფავს
გამიშვით თქვენს ღმერთსა,
გამიტეხავს კეფას.
გაუშვეს. და მოძღვარს
ჰკითხეს:—წმინდა მამა!
მიტომ მისდევ, რომ მან
ცერცვი შეგიჭამა?!.
მღვდელმა ვერ ამხილა
თვის ოჯახში სიძვა;—
და ამ შეკითხვაზე
სირცხვილით დაიწვა.
სთქვა:—ვინც არა იცის
მისთვის იყოს ცერცვი.
ერთი არ კმაროდა,
მეორეთაც შევრცხვი.

ირ. ტოფაძე.

კინტოური

(საინტენდანტო)

პილ ია მნოგუ, ი კუშილ,
კაზონ დენგი ზაპლატილ
სოტნი ტუდა,
ტრი სუდა,
დელო დაიდოტ დო სუდა.

—

შესტ მესიცოვ პრახოდიტ,
სრაზუმ კანტროლ ნახოდიტ,
დვაციტ ტიშიჩ
რასტრატა,
ტრახ, ტა-ტა-ტა, ტრახ, ტა-ტა!

—

სლიდოვატელ კსიბე გოსტ
პრიზივაიტ ნა დაპროს...
ზაკონ-მაკონ
ადატოვ
ემუ ტურმა ი გატოვ.

—

სიდიტ გოდუმ, სიდიტ ტრი,
ეშჩო მესიც პასმატრი...
სიდიტ ვანკა
ბატატა,
ტრახ, ტა-ტა-ტა, ტრახ ტა-ტა!

ნიკო გოცირიძე

(ავტობიოგრაფია *)

მე დავიბადე. ფრიად არ მესიამოვნა ეს გარემოება. ალბათ ამისთვის განვაცხადე უდიდესი სიტყვიერი პროტესტი. პირველ ხანებში ჩემი ხმა საოპერო ნიშნებს ატარებდა. ბოლოს და ბოლოს იმედი დავკარგე. წამოვიზარდე. სასწავლებელს ვერ შევეგუე. ორში ერთი ან ცუდათ მასწავლიდენ, ან ცუდათ ვსწავლობდი. დავჭაბუკდი. სცენამ მიმიზიდა. პირველად სტატისტის როლი ვითამაშე. რეცენზია ამ წარმოდგენის შესახებ არ დარჩენილა. მახსოვს მხოლოდ, რომ ანსაბლს ხელის მაგიერ ხმა შევუწყვე. დავვაჟკაცდი. შევეხიზნე სახალხო აუდიტორიას ავჭალის ქუჩაზე. აქ კონფლიქტი მომიხდა. სცენასთან დიპლომატიური კავშირი შევწყვიტე. 1867 წლიდან ზავი ჩამოვარდა. მას შემდეგ სახალხო სცენას ვემსახურები. სხვა სცენებზედაც მეპატიჟებოდენ, (ქართველი ხალხი ძლიერ სტუმართ მოყვარეა) ვერ წავედი.

სახალხო სახლის სცენა ძლიერ მიყვარს. არ შემიძლია ვთქვა, ვითომ იმას კი ვძულდე.

(„სახალხო ფურცელი»)

*) მცირე შესწორებით.

სათბურები ჩემთვის ჯერ ნაადრევია!
მერეც გამოჩნდება სადმე. . . . . .

ორივენი. ვაი, ვაი, ვაი.

ვასო. ოცი წელი იღწვი, სახალხო სცენაზე,
ლამის კოჟოჟები დაგაჯდეს ენაზე...
და თუ სამსახური, სხვით ვერ დაგიფასეთ,
ეს იუბილეი ხომ კი გაგიმართეთ.

ნიკო. ეჰ, ვინც ეგ პატივი ჩემთვის მოიგონა,
ნუთუ მეტი ტანჯვა ვერ გამოიგონა.
მაგრამ მადლობელი ვარ მაინც იმისა
ალბად, სიყვარულით მოქმედობდა ისა.

ორივენი ვაი—ვაი—ვა...

ნიკო გოცირიძე

ლუეტი*)

(ვაი ვუის ხმაზე)

ვასო. საყვარელო ძმაო, გოცირიძევ ნიკო,
სახალხო თეატრის უებარო კომიკო,
კანონით შენა ხარ აწ ჩემი მემკვიდრე,
და ჰა, ჩაიბარე, ეგ ჩემი სიმდიდრე!

(აძლევს ქურქს)

ნიკო. აბა რასა ბრძანებ, ვასო ჯან, გენაცვა,
შენ რალას აპირობ ეგ რო მე ჩამაცვა!

*) უეჭველათ სავალდებულოა ეს კუპლეტები სიმღერით წაიკითხოთ.

მოხსენება

გ ო რ ი.

ძმაო ეშმაკო, მოგიკითხავ დიდი სიყვარულით და ღმერთსა ვთხოვ შენს დიდ-ხანს სიცოცხლესა (კუზიანების საკეთილდღეოთ.) ახლა, ძმაო ეშმაკო, თუ ჩვენს ამბავს იკითხავ, ჩვენ კარგა ხანია უმათრახოთ ვცხოვრობთ ამ ჰაობში; ვცხოვრობთ მატრაბაზულათ, გორულათ, უპატრონოთ შენი წყალობის თვალს მოკლებულნი და დავიწყებულნი.

მართლაც და დიდ საყვედურის ღირსი კი ხარ, ძმაო. ამ გორმა რა გველი შეგვიწვა, რომ აქამდე ერთხელ მაინც არ შემოიარე. იქნება გგონია, რომ გასამათრახებელი აქ არავინ არის?!. ძალიან სცდები.

აქ იმდენი მატრაბაზა ინტელიგენტი და მატრაბაზი მოღვაწეა გასამათრახებელი, რომ რომელ მათგანსაც გადაუჭირო, ისე შეერბება, როგორც თავის დედის ძუძუ.

თუ ვინიცობაა მოიცალო, შეისმინო ჩემი აჯა და წამოხვიდე, ერთი ხუთიოდე მათრახი მაინც წამოიღე, ვინაიდან ერთი ცალი მალე ჩაგაცვდება ხელში.

თანვე წამოიღე მხრჩოლავი გაზების საწინააღმდეგო მოწყობილობა რომ ცხვირ-პირზე აიფარო, რადგან ადგილობრივ ქუჩებში ნაგვისა და უსუფთაობის სუნს გერმანელების მხრჩოლავ გიზებზე უფრო მეტი ძალა აქვს. აქ ისეთი გაზებია, რომ ცრემლებს კი არა, სულს გააყრევინებს ადამიანს.

ამიტომაც პირდაპირ ამ გაზების მთავარ ლაბორატორიაში, ქილაქის თვითმმართველობაში გასწი და იქ კაბინეტში მწვანე სავარძელში გამოჭიმულ ლ. გრიგორაშვილს მო...ახსენე: სანიტარული კამისიის თავ-მჯდომარეთ რომ იყავი და სისუფთავეს მეტ ყურადღებას აქცევდი, ნუ თუ იმიტომ, რომ გორს თავად გამობმოდი და ლაზარეთების კოხტა ეტლში კოხტათ გამოჭიმულიყავ?!. ამ ეტლით რომ ქუჩებს უვლი, რატომ აქეთ-იქით აღარ იცქირები?!.. თუ სმენასთან ერთად მხედველობა და ყნოსვაც დაგაკლდა, მაშ როგორღა თაობ და მოურავობ თქო.

ცოტა ხმა-მაღლივ კი უთხარი ეს ყველაფერი, თორემ ახლა და ახლა უფრო დაუმძიმდა სმენა; ხუმრობა ხომ არ არის გორელების თაობა!..

ახლა თვალი გადაავლე გორის მამინაცვლების გუნდს; ერთი ნახე, ერთი ყური დაუგდე რა ხმაშეტკბობილათ, რა ჰარმონიულათ მღერიან?!. მღერიან ერთნაირათ მსჯელობენ ერთნაირათ, დადიან ერთნაირათ. და ყოყოჩობენ ერთნაირათ. არავითარ დისონანსს და ოპოზიციას ადგილი არა აქვს მათ სიმღერა მოქმედებაში- ქალაქის საქმეები ერთხმათ, უკამათოთ და უდავიდარაბოთ .... ერთი სიტყვით სრულ ჰარმონია და პოეზიაა.

მერე იცი ვინ დირიჟორობს მამების ამ კონცერტს?!. ერთი საყოველთაოდ და კარგათ ცნობილი დიდი მოხელე და დიდი მემამულე.

ამიტომაც კარგს იზამ, თუ ერთი ორი ნაბიჯით უკან დაიხევ და ისე რაც ძალი და ღონე გაქვს მაგრისას უცხუნებ ამ უგვირგვინო ბატონს, მეფეს გორის საზოგადოებისას და თანაც ეტყვი რუსულათ რადგან ქართული არ ეხერხება: ქალაქის თვითმმართველობა ბიუროკრატიულ კანცელარიათ რათ გადააქცია. რატომ არ იცის, რომ ქალაქის დიდი საქმეები ბიუროკრატიულ კანცელარიის პატარა და ვიწრო ჩარჩოებში ვერ ჩატევა; ბიუროკრატიული სული და ინტრიგები საზოგადოებრივ საქმეებში რისთვის გადმოაქვს; თუ არ იცის, მათრახის კუდით შეაგნებინე, რომ ბიუროკრატი მოხელე საზოგადო მოღვაწის როლში მხოლოდ სამათრახო მასალაა და მეტი არაფერი.

თუ ეს ექსკურსია უხიფათოთ ჩაგივლის და ფეხს არ მოიტეხ, ძმაო ეშმაკო, გასწი თფილისისაკენ ჩქარა, რადგანაც შენ მათრახებს აქ გადაჩვეულები არიან პირველათ ძალიან ემწვავებათ და ემანდ ფეხი, ან კისერი არ მოგტეხონ.

შვილდ-ისარი.

ჩემს „ვასკას“.

—

აჩუ, ცხენო!
შე ოხერო,—
„ტრანსპორტ“ რაზმში
ჩასაწერო!
მითხარ: როგორ
მოვექცე დროს?
სალამური ავამღერო?!
— თუ უსაგნოთ
ვიცელქო და,—
თეთრ ქაღალდზე
ლექსი ვსწერო?!..
ძუა სქელო,
„ჩერქეზ“ ჯიშის
არ ქართველო.
გასწ-გაკურცხლე
ჩქარ ნაბიჯით...
რომ მით გავიტანო
ლელო,—
და მით ჩემო
თვალის ჩინო,
ეგებ თავი
ვასახელო.
ვშიშობ: შენი ჯახრიკულით
ველარ განვლო გზა სავალი, (?)
ვაგლახ, შენი ოჩნობითა
გულს მომედვას ცეცხლის ალი!
მაშინ? ეჰა... ბედის მდურავს
ვინ აღმადგენს გზათ დაცემულს...
შენგან ნათრევს, ნაჯახრიკალს,
ნაამაგდარს და წამებულს?!
მაგრამ ფიქრნი იმედს მგვრიან
და ოცნებაც ფრთას შლის ნაზათ...
ზე აღმაფრენ სხივით მოსავს
სულს, ჩაფერფლილს, აიაზმათ!
მაშ, შორს
ცრემლი!
ნაცვლად
გრდემლი
აიღეთო, გესმის ცხენო!?
ბედი ასე
გვიკარნახებს:
„ახალ ყოფნის
საძირკველი
გამოსჭედეთ ისევ თქვენო!,.
მაშ, გაჰქუსლე... ჩემო ვასკა!
თუმც ხანდისხან ბორძიკდები;
დაბრკოლებათ საზღვარი სჩანს
წინ... გასწი, ნუ შეშინდები!
არ მომიკვდე, საძრახისათ
ყვავ ყორნების საკორტნელო,
ერთხელ ვაინც გაბედულათ
მივიტანოთ ნაპირს ლელო...
მტკბარ ოცნების
ჟინ აღმძრელო!
არ ახარო მტრების გული,
არ დამტოვო მგლოვიარეთ;
ჯერ ბევრი გვაქვს გზა სავლელი
თუმც ორი გზა მოვიარეთ.
ჩემო „ბედის“ მერან-რაშო
უვალ გზაზე მტვრის ამდენო...
აჩუ! ცხენო!..

ი. ბოლგოთელი.

ს. ბ ა შ ი

სამშაბათ ღამეს, გვეწვია
მამასახლისი როყუა;
ურიადნიკი სტრაჟებით;
მწერალს ნაცვალიც მოჰყუა.
დააგუგუნეს სათარი,
გადმოლმა უქთამურისა
და ძიებასა შეუდგენ,
ლურჯ ბილეთ მოდგამურისა.
„ვეძებთ სულ ყველას, ვინც დღემდი
გარდაიცვალა, მოკვდაო.
რო იმალებით რა არის,
რა იყო, ან რა მოხდაო?
დღემდე უცდიან მიმდგართა,
აღარ ფიქრობენ წასვლასო
პილატეს ცრემლით, ნანატრით
განიღვიძებენ მადასო.
ტოფიმეს მოაქვს ვახშამი,

ცხენებს აჭმევენ ჩალასო,
სიმინდიც მარგებალია
ცხენებს შემატებს ძალასო.
ესტატე ლორით გადარჩა,
იაგორს სთხოვენ ქათამსო
მიხეილს ღვინოს უქებენ
მოსიას სთხოვენ ქანქარსო.
მოგროვდა დიდი—ზვარაკი,
ხუხავენ შესანდობელსო
დანაყრებული, ნავახშმნი
მკერდებს აფხანენ ღობესო.
იმას ვინ ჩივის, ვინ დასდევს
ცრემლები რომ სდის მოძმესო
მშვიდობის მცველნი დარაჯნი
ჩვენზე იჩენენ ღონესო.
ეშმაკო, ეგებ შენ იცნობ
იმ ჩვენ კადნიერ მკვდრებსაო...
გამოგიგზავნით რ.ოყუას
თუ დაუზომავ ძვლებსაო.

ტარბანი.

ხონის ამბები

(დათიკიეს ნაამბობი.)

რავაც კი მომივიდა ობელანიე, რომ კოპერანტიის ყრილობა არისო, მოვძებნე იმ მინუჩი კნიშქა და კვიტანციე და გავწიე. გვარიანი ამიდი იყო. შევედი საყდარში, დევიწერე პიჯვარი, მივიღე ელოგიე და გამოვწიე ედრიატიწყენ. იმდონი ულუსი ხალხი შეყრილიყო მის წინედამ, რომ ნეფსი არ ჩაეტეოდა არსათ. ვინ გინდა იქინე არ იყო: დოხთური, გამომძიებელი, თავადი, ვაჭარი, ხარაზი, მამასახლისი, უჩიტელი, მეფურნე და ერთი სიტყვით ყველე ღირსების კაცი. ყველე მოგებაზე ლაპარაკობდნენ: ახლა კომპერატს დიდი მოგება უნახავსო და დღეს დაარიგებენო. რავარცხა იყო შესავალ კარებში ჩევეწერე სიაში. შევედი შით. დასაჯდომი ალაგი ვერ ვნახე, ერთი ერთმანეთს აჯდენ კისერზე. რავარც იქნა მივიკუნჩხე ერთ მუხურში და დეიწყენ ლაპარაკი. გეიმართა, მარა რა გეიმართა: დედა არ შოუგინებიენ და ცოლი ერთმანეთიზა თვარა არაფერი დოუკლიენ. ამისანე ლაპარაკი, რომ სოფელში დეიწყება იმას ხანჯლის ბრიალი და კაცის ნჩეხვა არ მოყვეს შეუძლებელია. ნასტავლებს თურმე ლაპარაკით ცოდნიენ ჩხუბი და არ ვიცოდი: მე მეგონა ლიევრებს იძრობენ თქვა და გასაქცევი რომ მეშონა ნადუღრ ძალლივით ვაპირობდი გაქცევას. რავა ღმერთი გამიწყრებოდა იქინე ჩევეწერებოდი, მარა შაქარი ვერსა ვერ ვიშოვნე და ნუ ჩეეწერები თუ კარგი ხარ! ამ სიბერეში ისე დევეჩვიე იმ ოხერ ჩაის, რომ უიმისოთ გაძლება არ შემიძლია.

ნუ იტყვი შენ, თურმე პირველათ ზარალი ქონია ჩვენს ობჩას და იმიტომ სუდი გეიმართა. ეძებდენ ვინ შეჭამაო. სუდი ამბობდა საქონელი დაკარქულაო მარა ვინ წეიღო არ ვიციოთ. ვინცხა სვინდვისძვირაძე ყოფილა მეითხოვენ იმის მოწერილი წერილის წაკითხვა. ნუ იტყვი შენი ჭირიმე! რა ჯანდაბამ აწერია ამდონი! ანგაროზივით გძელ ქახალდებზე ეწერა და ეწერა! ერთი საათი მეტი იკითხა ვინცხა ჩინონიკმა. იმ წერილში ჩვენი მათე დოხთურიც კარგათ იყო შელანძღული, მარა სხვებსაც არ უკოცნიდა ტუჩებს. გათავდა როვარც იყო იმის კითხვა და მერე გამევიდა გვარიანი შეყაჟარებული კაცი, ანდრიე ბახთაძე ყოფილა, და ამან დეიწყო თავის მართლება. ამას კიდო ვინცხამ უყვირა, იმას კიდო ვინცხამ უპასუხა და ასე დიდ ხანს იყიყინენ. უნდოდენ რომ ზარალი საზოგადოებიზა დეედვენ! ამაზე მეგეცა ხვთის წყალობა ვიყვირე, ამყვა სხვებიც და იცოცხლე ვინცხა გამგეები ყოფილა კი ვიჯერეთ გული თელი ზარმლი დავანჭვეთ თავზენ.

რავარც იყო შეუდგენ ახალ ანგარიშებს—წეიკითხენ: ეგი ვივაჭრეთო, ეგი გადავატრიალეთო, ეგი ვისესხეთო, ეგი ავანციაო, ეგი დეიხარჯაო და დანაბოლოს რავარცხა იყო თქვენ, რომ ოთხი ათასი მანათი მოვიგეთო. ვისვლიქე კნიშქა და გევემზადე, მარა ვინ დამაცლიდა, დეიწყენ საგაისო საქმეებზე ლაპარაკი. წამოდგა ვინცხა სათვალეებიანი და დეიწყო საგაისოთ მილიონს გადავატრიალებთო, მანათზენ, რომ ორი შაური მოვიგოთო, იმდონი გამეიყვანა, რომ ამ ხნის კაცი ვარ და ჯერე ის ციფრი არ გამიგონია. ვიფიქრე ნამდვილათ დავაკეთდი ჩემს თუმანს თქეა. მარა მერე დეიწყო გა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალზე ლაპარიკი და იმდონ იმდონი ჩამოთვალა, რომ რაღამე გააბათურა ყველე მოგება. თითო პრიკაშიკს ას ასი თუმანი დოუნიშნა, აგი გაზეთეიო, აგი წიგნებიო, აგი კიდო საცხა ჩილენათ ჩავწერო და თლა ყუყზენ მიაყენა ჩვენი მოგება. ღმერთმა კაი ქნას, მარა თუ ერთი ორჯენ მოვასტარი კიდო შაქრის გამოტანა, მერე შამომივლია თავზედ ჩემი თუმანი.

ეირია ხალხი და მე მეგონა ახლა დაიწყებენ მოგების მოცემ-სთქვა და წევიჰიმე კინიშქით წინ, მარა შენც არ მომიკვდე იმისანე ვარი მტკუცენ რაღამე დევიწვი სირცხვილით. არა, რას უყურყუტებდი ნაელოგიარი კაცი დაღამებამდის, თუ მოგებას არ მივიღებდი! ახია ჩემზენ.

ბუძა.

პორფირი ასკუკაძე

1 საშინელი იჭვი

სადგური კორკოთის უფროსმა, პორფირი ასკუკაძემ როგორც იყო დაასრულა თავის ხანგრძლივი პირის ბანა: უკანასკნელათ დაუკრა ბოხ-ხმიანი საყვირი მოგრძო და მსხვილი ცხვირით, ერთხელ კიდევ გადაირო ცივი წყალი მსუქან, ფაფუკ ხელებზე და თავი ზევით ასწია. ფანჯარაში შემონატყორცნ მზის სხივებზე თვალები უცნარრათ დააჭყუნა, პირსახოცს ხელი წაავლო და პირის მშრალებით საწოლ ოთახისკენ გაექანა. პირი შეიმშრალა, თვალები დაისრისა, ხელში სავარცხელი აიღო და თმის დასავარცხნათ კედლის სარკისკენ მიტრიალდა. ის იყო სავარცხლის თავზე ჩამოსმას აპირებდა, რომ უეცრათ შეჩერდა. მთელი მისი ყურადღება სარკეში გამონაკვთულმა ლანდმა მიიპყრო. პორფირი განსაკუთრებულის ცნობის მოყვარეობით დააცქერდა მას.. . და ელდა ეცა, გაქვავდა... მან ნათლად და გარკვეულათ გაარჩია თავის კუპრისფერ შავს თმაში აქა იქ ობლათ გამომყურე თეთრი ძაფები მის თმათა შავს ტევრში ვერცხლის ფრად ბზინავდა და ციალებდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი მან თავის სახეზე პატიოსანი ცხვირის ორივე მხრივ თვალი მოჰკრა, გრძლათ ჩამოღარულ ნოჭებს.

— ღმერთო! ჰალარა!.·. ნაოჭები! მაშ ვბერდები ვხუცდები!

პორფირის გულში რაღაც სუსხიანმა ქარმა დაჰქროლა, ტანში ყინვის ჟრუანტელმა.

— ნუ თუ ასე ადრე!

და აი პორფირიმ მთელ თავის სიცოცხლეში პირველათ მოიგონა თავის დაბადების წელი და შეუდგა თავის წლოვანების გამოანგარიშებას... მაგრამ ანგარიშის შედეგს თვითონაც არ უჯეროდა. ის ორჯერ-სამჯერ თავიდან დაუბრუნდა ანგარიშს მაგრამ, დახე უკუღმართ ბედის ტრიალს, ხელში მაინც 40—41 წელი რჩება.

— არა... არა ეს არც ისე ადრეა მაგრამ... მაგრამ, მწუხარებით ლუღლუღებდა ის, მაგრამ რომ არ შემიტყვია, რომ არ მიგრძნია ცხოვრება! როგორ გაქრა ასე შეუმჩნევლათ, ქურდულათ!ოჰ, ღმერთო, მე ცხოვრებას აწი ვაპირებდი! სულ რაღაც ერთი წელია, რაც ალმატება მივიღე... ჩემი ცხოვრება ცოტად თუ ბევრად უზრუნველ ვყავი... ექვსი თვე არ არი ცოლი მოვიყვანე... და აქ კი.. . სიბერე!...

სახეზე მწუხარების ღრუბელი გადაეფარა.

მას თვალწინ დაუდგა მისი ახალგაზდა ამომავალ ვარსკლავივით მოციალე, მუდამ მომღიმარე სიცოცხლით სავსე, 18 წლის ელო.

— ის კი... ის მაისის ვარდივით თანდათან იშლება იფურჩქნება!

პორფირი პირველათ ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას. პირველათ შეადარა თავი თავის ცოლს.

— არა რა ეშმაკი შემიჩნდა? რათ მინდოდა ასეთი ახალგაზდა ქალი? სად მქონდა მაშინ ეგ საჯანდაბე თავი! რისთვის არ ჩაუფიქრდი?.. მაგრამ სიყვარული! დასწყევლოს ეშმაკმა სიყვარული! სიყვარული მაცდურია, თვალის ამხვევია, სიყვარული სისულელეა!.. აბა რა არის მე და ელოს შორის საერთო?.. მერე, სხვა რომ შეიყვაროს?.. სხვა რომ შეიყვაროს?.. შეიყვარებს, უეჭველათ შეიყვარებს!.. ოჰ, ღმერთო როგორ მომეჭრება თავი, როგორ გამიბახდება პატიოსანი ოჯახი!

აქ პორფირის თვალწინ დაუდგა ახლად .ულვაშებ აყვავებული გრუზა თმებიანი ყმაწვილი, რომელიც მისი ცოლის საყვარელი გახდება.

ცოლის მომავალ ფიზიონომიის სიყვარულის ოცნებაში წარმოდგენამ პორფირი გააცოფა, მას პირზე დორბლი მოადგა, მთელი ტანი რისხვამ აუცახცახა.

— როგორ თუ შეიყვარებს! ცალი ფეხის ია-

ტაკზე დარტყმით და სისინით წარმოსთქვა მან, განა მე ცოცხალი არა ვარ, პორფირი ქიტუას ძე ასკუკაძე!? თმებს დავაგლეჯ, ბაწრით დავაბამ, მოვკლავ! განა მე ამის უფლება არა მაქვს! ღარიბი, წიდამწვარი ჩემს ოჯახში შემოვიყვანე! დედოფალივით ვაცხოვრებ, აფაფერს ვაკლებ!.. რა ვუყოთ რომ ხანში შესული ვარ!.. დიახ მე ამის უფლება მაქვს! აბა გაბედოს!?

ვინ იცის პორფირის გულის მღელვარება და შავი ფიქრები სმნამდი მიაღწევდა, რომ ოთახში ელო არ შემოსრიალებულიყო!

— რათ აგვიანებ, რისთვის ჩაის დასალევათ არ შემოდიხარ? ზარივით დაიწკრიალა ელოს ხმამ ოთახში,

პორფირი გამოირკვა, მან რაღაც რისხვით შეხედა ცოლს, თმა ხელის თითებით გადაივარცხნა, პიჯაკი გადაიცვა და ჩაის დასალევათ გავიდა.

ამდღიდან დაირღვა პორფირის სულიერი სიმშვიდე. საშინელმა იქვმა დაისადგურა მის გულში. ის გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა თავის ცოლს. მის ყოველ ნაბიჯს ზომავდა. მის ყოველ სიტყვას უკვირდებოდა, ლაპარაკის დროს თვალებში ჩააშტერდებოდა, თითქოს სურდა თვალებში ამოეკითხა ელოს გულში მდებარე საიდუმლოებანი. ხშირად ხშირად პორფირი მიატოვებდა სამსახურს და დანიშნულ დროზე ადრე სახლისკენ გაექანებოდა ხოლმე.

ასე მიმდინარეობდა პორფირის ტანჯული ცხოვრება სანამ ერთმა შემთხვევამ არ ამოუგდო გულიდან ყოველივე იქვი, და სრული მონა-მორჩილი და დამჯერე არ გახდა მისი ახალგაზრდა ცოლისა.

(დასასრული იქნება)

ჩინური ფოსტა

ხუჰუჰას რა უყვარს. მშვენებავ ონისა, რაჭისა მზეო და მთვარევ ნიკორ-წმინდისავ! თქვენ იწერებით: „ჩემი კომედია გაასწორე და დაბეჭდე, რადგან მე სოფლის კაცი და თანაც უსწავლელი ვარო„. ჰოი უწარჩინებულესო სოფლის კაცთა შორის და უმორცხვესო დრამატურგთა შორის! თქვენ გვანიშნებთ შორეულის ეჭვებით, თითქო უსწავლელსა და ისიც სოფლის კაცს არ შეეძლოს დრამებისა და კომედიების წერა. აბა რა სათქმელია ღვთაებრივო?!. ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი ვიცით იმისი, თუ რა მშვენიერსა და მჭუხარე დრამა კომედიებსა სწერენ ჩვენში უსწავლელნი. ვინ იქნება უგნური შეეხოს მათ სტილსა და შინაარსს, ვინ იქნება რეგვენი მოაკლოს ან მოუმატოს მათ მშვენებას, თუნდაც ერთი მარცვალი მზის ხივთა კონისა?

ეგრეთ უძლური და უსუსურია ჩვენი გამოცდილება წინაშე თქვენის კომედიის „ოჩხარიისა“. ჩვენს კალამს არ ძალუძს შესძინოს მის მშვენებას არცა თუ მცირედი სამკაული! ქართველი ერი ღირსი არ არის დასტკბეს მისი მშვენებით. ხოლო ჟურნალი ,,ეშმაკის მათრახი'' სირცხვილით დაიწოდა უკეთუ მის ფურცლებს ეტვირთა სხივოსანი და მგზნებარე კომედია თქვენი „ოჩხარია“.

—

ია—ვარდს. ყვავილთა თაიგულო და ეთერო სურნელოვანო! პირველივე ტაეპი ლექს მშვენებისა თქვენისა ,,ტრფობისგან ტანჯული''-სა, უკვე ღაღადებს, რომ წინაშე ჩვენსა სძევს განძი ხელთუქმნელი, საუნჯე განგებისა. ვკადნიერდებით მოვსწყვიტოთ საერთო კრებულს ტაეპი იგი და ვითა ვარსკვლავი ობოლი დავანახოთ მკითხველთა ჩვენთა, ძეთა ივერიელთასა:

„ვახუშტ! არ ვიცით არც ერთმა
მოვკვდებით რომელ წელსაო,
ვინ კადურჩება სიკვდილსა
ღმერთისგან დაწესებულსა“.

მუსიკალური რითმი ზემორე აღნიშნული ტაეპისა მიუწდომელია მომაკვდავთათვის, მაგრამ მაღალი აზრი მასში ღვთიურ ძაფათ გატარებული უკვე აღემატება უგონიერეს აფორიზმს ჩვენი მგოსნის სოლომონ ზურგიელიძისას;

„კაცი რომელიც იბადვის,
იგივე ჩადის საფლავსა“,

ვინაიდან თქვენს მცირე ტაეპში განმარტებულია აგრეთვე ძიება იმ პრობლემისა, რომელსაც „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხი წარმოადგენს. „ვახუშტ! არ ვიცით არც ერთმა, მოვკვდებით რომელ წელსაო“. მაგრამ მშვენება დანარჩენ ტაეპებისა იმდენათ ღრმა აზროვანი და მომჯადოებელია ადამიმნის გონებისა, რომ გადავსწყვიტეთ მისი შენახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა მეორედ მოსვლისათვის. მოგეხსენებათ მაშინ მკვდრეთით აღსდგება უკვე მიცვალებული კაცობრიობა ზნეობრივ-გონებრივათ განწმენდილ-განსპეტაკებული.

—

ქ-ნ ჟუჟუნას. ყვავილო ივერიისა! თქვენ პირველი ხართ მხევალთა შორის, რომლის უმაგალითო შემოქმედებამ მოჰხიბლა თვით ეშმაკი ჯოჯოხეთისა და აგრძნობინა მას ძლიერება მუზისა.

,,შაქარი გაგვიძვირდა!
პურიც არ იშოვნება.
ფეხსაცმელის მაზი ხომ
სანთლით საძებარია‘‘.

შაქარზე უტკბესი ლექსი თქვენი, პურზე უნოყიერესი აზრი მისი, მაკარონზე უსათუთესი რხევა მისი, ბრინჯზე უმეტესი ხვავრიელობა მისი, პილპილზე უმეტეს მხურვალება მისი, შაშხზე უმეტეს მარილიანობა მისი და სხვა მრავალი თვალწარმტაცნი ღირსებანი მისნი გვავალებენ არ შეურაცყოთ „ეშმაკის მათრახში“ დაბეჭვდით სახელი და დიდება ლექსის ,,პროვიზიისა‘‘.

—

ყოველ-კვირეულ იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —
6 თვით 4 მ. — კ.
3 თვით 2 მ. — კ.
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ე შ მ ა კ ი, ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6, поч. ящ. № 96.

სახ. ფურცელი ბ-ნო შლინგ! გუშინ წინ „საქართველომ“ გამა-ჯავრა. ერთი იმისი კარიკატურა დამიხატე

„საქართველო“ ბ-ნო შლინგ! გუშინ „სახალხო ფურცელმა“ მაწ-ყენინა, ერთი კარგათ გამომიპიმე კარიკატურაში.

„თანამედროვე აზრი“

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

აზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციებში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა № 6.

რედ ქტორი **თ. ბოლქვაძე.** ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა **ვ. რუხაძისა,** გაბაევის შესახვ., № 1